პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 7 მაისი, 1943 წ. № 100 (6725). ფასი 20 კაპ.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

6 მაისის დილის ცნობა

5 მაისის ღამის განმავლობაში ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ ბრძოლებს მტერთან. ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

* * *

ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, გრძელდებოდა გაფთრებული ბრძოლები. 6 შენაერთის მებრძოლებმა გადალახეს მტრის მრავალრიცხოვანი თავდაცვითი ნაგებობანი და დაიკავეს რამდენიმე დასაყრდენი პუნქტი. გერმანელთა ჯარებს ამ ბრძოლებში დიდი ზარალი მოუვიდათ ცოცხალი ძალისა და ტექნიკის მხრივ, მარტო ერთ უბანზე მოსპობილია 400-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. წამოყვანილია ტყვეები და წამოღებულია დაფლ.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ნაწილებმა გასწყვიტეს 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი, მოსპეს მტრის 5 ტყვიამფრქვევი და ჩაბუნეს 6 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი.

ჩვენმა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლაში ჩამოაგდეს გერმანელთა 2 თვითმფრინავი.

* * *

ჩრდილო-დასავლეთის ფრონტზე 6 ნაწილის გაძლიერებული მზვერავთა ჯგუფი მტრის განლაგებაში შეიჭრა და მთელი რიგი თხრილები და სანგრები დაიკავა. გერმანელები ცდილობდნენ აღიდგინათ მდგომარეობა და ზედიზედ 4-ჯერ მოიტანეს კონტრიერიში. ჩვენმა მებრძოლებმა ჰიტლერელთა ყველა იერიში მოიგერიეს და 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი მოსპეს.

* * *

სევსკის რაიონში მზვერავთა ჯგუფმა უფროს ლეიტენანტ ვორობაროვის მეთაურობით ღამით მტრის განლაგებაში შეაღწია. ხელჩართულ შეტაკებაში ჩვენმა მებრძოლებმა დახოცეს რამდენიმე ათეული ჰიტლერელი, დაანგრიეს 2 ბლინდაჟი და ხელთ იგდეს ტყვეები. მეთვალყურე ამხ. კოვალიოვმა შეიმჩნია საბჭოთა სანგრებისაკენ წამოწეული გერმანელი სნაიპერი. ამხ. კოვალიოვი შეუმჩნევლად მიხოხდა ჰიტლერელთან და ტყვედ წამოიყვანა იგი.

ჩვენმა ავიაციამ საჰაერო ბრძოლებში გერმანელთა 4 თვითმფრინავი ჩამოაგდო.

* * *

კალინინის ფრონტზე ჩვენი არტილერიის ცეცხლით დანგრეულია გერმანელთა 8 ძელ-

6 მაისის საღამოს ცნობა

6 მაისის განმავლობაში ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, გერმანელებმა 5-ჯერ მოიტანეს ერთიმეორეზე გაფთრებული კონტრიერიში, რათა დაებრუნებინათ ნებერჯაევსკაია და სტარი აბაგუმი. ჩვენმა ჯარებმა მოწინააღმდეგის ყველა იერიში მოიგერიეს, ამასთან დიდი ზარალი მიაყენეს მას. გერმანელთა ჯარები უკუგდებულ იქნენ დასავლეთისაკენ.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი რამ არაფერი მომხდარა.

ჩვენმა ხომალდებმა ბარენცის ზღვაში ჩასძირეს მოწინააღმდეგის ტრანსპორტი და ტრალერი.

* * *

ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, გრძელდებოდა ბრძოლები. ეყრდნობოდნენ რა მრავალრიცხოვან თავდაცვითს ნაგებობებს, გერმანელები ცდილობდნენ შეეჩერებინათ საბჭოთა ჯარების წინსვლა და მთელი რიგი კონტრიერიშები მოიტანეს. ბრძოლები არა ერთხელ იქცა ხელჩართულ შეტაკებებად. 6 შენაერთის ნაწილებმა, დასძლიეს რა მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა, წინ წაიწიეს და დაიკავეს დიდი მნიშვნელობის მქონე მთელი რიგი მაღლობები. მარტო ერთ უბანზე გერმანელებმა 1.500-მდე ჯარისკაცი და ოფიცერი დაკარგეს ჯოკლუსა სახით. მოსპობილია გერმანელთა 6 ტანკი; ხელთ ვიგდეთ 15 ქვემეხი, 32 ტყვიამფრქვევი, 13 ნაღმსატყორცნი და 6 საწყობი საომარი მასალა და სამხედრო კონება.

* * *

ჩვენი ავიაცია აქტიურად უწყობდა ხელს სახმელეთო ჯარების მოქმედებას. საბჭოთა მფრინავებმა ბომბების დაშენით მოსპეს გერმანელთა რამდენიმე ტანკი, 25 ქვემეხი, აეფეთქეს საომარ მასალათა საწყობი და მწყობრიდან გამოიყვანეს მოწინააღმდეგის მრავალი ჯარისკაცი.

* * *

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ნაწილებმა მოსპეს 200-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. არტილერიის ცეცხლით დანგრეულია მტრის 4 ბლინდაჟი, 2 სათვალთვალო პუნქტი, 1 მძიმე ქვემეხი და რამდენიმე საზენაო საომარ მასალიანად.

* * *

სევსკის რაიონში მოწინააღმდეგემ ბრძოლთა დაზვერვა მოაწყო. ხანმოკლე შეტაკების შედეგად გერმანელები უკუგდებულ იქნენ, ამასთან 100-მდე თავიანთი ჯარისკაცისა და ოფიცრის გვამი დასტოვეს ბრძოლის ველზე. მეზობელ უბანზე ჩვენი მზვერავი ჯგუფი შეიჭრა მოწინააღმდეგის სანგრებში და მოსპო 20 ჰიტლერელი.

* * *

ბალაკლეის სამხრეთით ჩვენმა არტილერისტებმა ჩაახშეს მოწინააღმდეგის ორი საარტილერიო და ორი სანაღმტყორცნო ბატარეის ცეცხლი. ტანკსაწინააღმდეგო თოფით წეთელარმიელმა ამხ. პირსინმა დააზიანა გერმანელთა თვითმფრინავი „იუნკერს-88“. თვითმფრინავი დაეშვა მოწინააღმდეგის თავდაცვის წინა კიდეზე და მოსპობილ იქნა ჩვენი არტილერიის ცეცხლით.

* * *

დონის როსტოვის დასავლეთით სროლა სწარმოებდა. ჩვენმა არტილერისტებმა დაანგრიეს გერმანელთა 3 ძელმიწური, ჩააბუნეს 5 საარტილერიო ბატარეის ცეცხლი და გაჩფანტეს მოწინააღმდეგის ავტოკოლონა. სნაიპერებმა ამხ. ლოსმა, კოსტიგლოტოვმა და სუჩკოვმა ორი დღის განმავლობაში დახოცეს 18 ჰიტლერელი.

* * *

წითელი არმიის XXV წლისთავის სახელობის პარტიზანული რაზმი, რომელიც უკრაინის ერთ-ერთ რაიონში მოქმედებს, თავს დაესხა გერმანელთა ავტოკოლონას. პარტიზანმა ტარასმა საწვავსითხიანი ბოთლით ცეცხლი წაუკიდა ჯავშნან მანქანას. სხვა პარტიზანებმა მოსპეს 6 სატვირთო ავტომანქანა და გაეღლიტეს 40 ჰიტლერელი. შჩორსის სახელობის პარტიზანულმა რაზმმა ააფეთქა გერმანელთა საომარი მასალების ეშელონი. აფეთქებულ იქნა ორთქლმავალი და 10 ვაგონი. რკინიგზის ამ უბანზე მატარებელთა მოძრაობა ორ დღე-ღამეს იყო შეწყვეტილი.

* * *

კრიმსკაიას რაიონში წითელი არმიის მხარეზე გადმოვიდა გერმანელთა 97-ე სამოთმსროლელი დივიზიის ჯარისკაცი გეორგ კ. გადმოსულმა განაცხადა: „ოფიცრები არა ერთხელ გვეუბნებოდნენ, ჩვენი პოზიციები, რადაც უნდა დაგვიჯდეს, უნდა შევინარჩუნოთო. მაგრამ რუსებმა ზარაზნებისა და ტყვიამფრქვევების გაფთრებული ცეცხლი დაგვიშინეს. რამდენიმე საათის განმავლობაში თავის აწევა არ შეიძლებოდა. დანგრეულ ბლინდაჟებთან და ძელმიწურებთან, სანგრებსა და თხრილებში მრავალი გერმანელისა და რუმინელის გვამი ეყარა. უკანდახევისას გერმანელთა და რუმინელთა ნაწილები ბედის ანაბარა სტოვებდნენ დაჭრილებს. კრიმსკაიას რაიონში ძალიან ბევრი გერმანელია დამარხული. სტანიცის პარკი ჯარისკაცთა სასაფლაოდ არის გადაქცეული. მე ვიცი, რომ იქ ათასზე მეტი სამარეა“.

* * *

გერმანელმა ფაშისტმა არამზადებმა მიწასთან გაასწორეს მინსკის ოლქის სოფელი ჩერნევიჩი. მათ დასწვეს კოლმეურნეთა ყველა სახლი. მეტოვრებთა უმრავლესობა წინასწარ გაიხიზნა ტყეებში. სოფელში დარჩენილ მოხუცებს და ბავშვიან ქალებს გერმანელი ჯალათები მხეცურად გაუსწორდნენ.

ბრძოლა ნოვოროსიისკის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით

მოქმედი არმია, 6 მაისი. (საკუთარი სპეც. კორესპონდენტისაგან). გერმანელები გაფთრებულ წინააღმდეგობას გვიწევენ. ტყვეები გვიჩვენებენ, რომ ოფიცრებს ნაბრძანები აქვთ ადგილზე დახვრიტონ ყველა, ვინც კი გაბედავს თუნდაც ერთი ნაბიჯით უკან დახევას.

ჩვენს ჯარებს აქ შეხვდა მოწინააღმდეგის ძლიერი თავდაცვა, რომელიც წარმოადგენს მოაჯალეფენიანი საავტომატო, სატყვიამფრქვევო, სანაღმტყორცნო და საარტილერიო ცეცხლის რამდენიმე დიდ ზოლს, ცეცხლი გაძლიერებულია მასიერებული დარტყმებით ჰაერიდან. მაგრამ საბჭოთა ნაწილები შეუპოვრად მიიწევენ წინ, ზედიზედ სძლევენ ზოდეებს, ამსხვრევენ დასაყრდენ პუნქტებს, სერიოზულ დარტყმებს აგემებენ მტერს.

ასე იქნა გამსხვრეული და აღებული მტრის წინააღმდეგობის ძლიერი კვანძი—სტანიცა კრიმსკაია.

ყველგან უამრავი გვამი ჰყრია. სპეციალურმა კომანდებმა მარტო ერთი დღის განმავლობაში 2.000-მდე მოკლული ჰიტლერელი ჩაფლეს მიწაში. ნადავლის დამთვლელი კომანდები ძლივს ართმევენ თავს მოწინააღმდეგისათვის წართმეული იარაღისა და საომარი მასალების დათვლას.

ოსტატურად უშენდნენ მტერს არტილერისტები. მზვერავები და მეთვალყურენი ზედწინა კიდესთან მიდიოდნენ და აკორექტებდნენ თავიანთი ბატარეების ცეცხლს. ქვეითი ჯარი კვალდაკვალ მისდევდა ცეცხლის ტალღებს. თუ მსროლელებს გზას გადაუღობავდა მტრის ცეცხლი, ქვეითი ჯარის მეთაურები ამას აკნობებდნენ არტილერისტებს, და ისინი ურტყამდნენ მტრის ტყვიამფრქვევებსა და ქვემეხებს.

მოწინააღმდეგე ცდილობდა მოესინჯა ჩვენი ფლანგები და ქვეგანაყოფთა შესაყარი და კონტრიერიშებზე გადმოდიოდა. და აქაც ქვეითებს ეხმარებოდა არტილერია, რომელიც მთელი თავისი სიმძლავრით დაატყდებოდა თავს მტრის რეზერვებსა და თავმოყრილ ჯარებს.

ყუბანში ახლა წარმოებული ბრძოლების დამახასიათებელია ყველა გვარეობის ჯარების ზუსტი თანამოქმედება, ყველა სახის იარაღის ოსტატურად გამოყენება. მსროლელნი რაკეტებითა და გეზის მიმცემი ტყვიებით ახალ სამიზნეებს უჩვენებენ არტილერისტებს. ეს უკანასკნელნი გზას უკაფავენ ქვეითს ჯარს.

6 ნაწილის ქვეგანაყოფებს მტრის დიდი კონტრიერიში უნდა მოეგერიებინათ. ძალების მხრივ უპირატესობა მოწინააღმდეგის ზურაზე იყო. ქვეითებმა არტილერისტები და მფრინავები მოიშველიეს. გერმანელებმა ის იყო მოასწრეს თავმოყრა დარტყმის მოსახდენად, რომ მათ ცეცხლი დაუშინეს ჩვენმა მძიმე ბატარიებმა. მალე ფრონტის თავზე საბჭოთა მოიერიშენი გამოჩნდნენ. რამდენიმე წუთში მტრის კოლონები გაფანტულ და ნაწილობრივ მოსპობილ იქნენ. კონტრიერიში ჩაიშალა.

გერმანელებისაგან ყუბანის გაწმენდისათვის ბრძოლები გრძელდება.

1943 წ. 4 მაისი.

თბილისი.

ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლი

ამხანაგებს სიმონიკა კომფორჯიშვილს, ლამარა გეგეშიძეს, ვიქტორ ბრაჯიშევს, შალიკო ალექსანდრიანს

გადაეცით ჩემი მხურვალე სალამი და წითელი არმიის მადლობა ლ. მ. კაგანოვიჩის სახელობის თბილისის მხატვრული აღზრდისა და ტექნიკური პროპაგანდის სახლის საბავშვო რკინიგზის რკინიგზელებს, რომლებმაც 10.000 მანეთი შეაგროვეს ჯავშნიანი მატარებლის „სამშობლოსათვის, სტალინისათვის“ ასაგებად.

ი. სტალინი

წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მებრძოლთა და მეთაურთა და საზღვაო ფლოტის მეზღვაურთა დაჯილდოება ინგლისის ორდენებითა და მედლებით

დიდი ბრიტანეთისა და სსრ კავშირის საერთო მტრის—ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ ბრძოლის საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე სარდლობის დავალებათა შესრულებისას მამაცობისა და გულადობის გამო“ეწინისათვის დიდი ბრიტანეთის მეფემ გეორგ VI 1942 წლის დამლევს ორდენებითა და მედლებით დაჯილდოვა წითელი არმიისა და სამხედრო-საზღვაო ფლოტის მებრძოლთა და მეთაურთა ჯგუფი.

იმ გემებზე მტრის იერიშების მოგერიებისას თავდადებული და მარჯვე მოქმედებისათვის, რომლებსაც სამხედრო ტვირთები ჩამოჰქონდათ სსრ კავშირში, დიდი ბრიტანეთის მეფემ გეორგ VI 1942 წლის დამლევს ორდენებით დაჯილდოვა სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მეზღვაურები.

რადგან დაჯილდოებულნი მოსკოვში არ იმყოფებიან, 4 მაისს დიდი ბრიტანეთის ელჩმა სსრ კავშირში ბ-ნმა ა. კ. კერმა, ბრიტანეთის ორდენები და მედლები გადასცა საგარეო საქმეთა სახალხო კომისარს ვ. მ. მოლოტოვს დაჯილდოებულთათვის შემდეგში გადასაცემად.

დიდი ბრიტანეთის ელჩმა ბ-ნმა ა. კ. კერმა და საგარეო საქმეთა სახალხო კომისარმა ვ. მ. მოლოტოვმა მოკლე სიტყვებით მიმართეს ერთმანეთს. (საკდესი).

ბოლშევიკური პრესის დღე

5 მაისს შესდგა მოსკოვის საერთო-საქალაქო კრება, მიძღვნილი ბოლშევიკური პრესის დღისადმი. საბჭოთა პრესის მორიგი ამოცანების შესახებ მოხსენება გააკეთა ამხ. ემ. იაროსლავსკიმ.

კრების მონაწილეებმა დიდი აღფრთოვანებით მიიღეს უმაღლესი მთავარსარდლის, საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინისადმი მისალმება.

— ფიცს გაძლევთ, ძვირფასო იოსებ ბესარიონის-ძეს, — ნათქვამია მისალმებაში, — რომ ბოლშევიკური პრესის მუშაკები გაიორკეცებენ და გაასამკეცებენ თავიანთ ენერგიას და ეცდებიან, რომ ჩვენი პარტიის ყველაზე უფროსი ბასრი იარაღი—პრესა უმტყუნელად მოქმედებდეს, რომ ყოველი ჩვენი სიტყვა აუცდენლად ურტყამდეს მტერს და აახლოებდეს გამარჯვების ჟამს. ჩვენ მომავალშიაც დაუცხრომლად განვამტკიცებთ მილიონობით საბჭოთა ადამიანებში საბჭოთა სამშობლოსადმი სიყვარულსა და თავდადებას, გავაღვივებთ მათს მწვავე სიძულვილს ფაშისტი მტაცებლებისადმი. (საკდესი).

ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღისადმი მიძღვნილი კრება

5 მაისს საღამოს წითელი არმიის საოლქო სახლში შესდგა თბილისის გარნიზონის მებრძოლთა და მეთაურთა კრება, მიძღვნილი ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღისადმი.

კრებაზე ბოლშევიკური ბეჭდვითი სიტყვის დღის შესახებ მოხსენებით გამოვიდა გაზეთ „ბოეც რკკა“-ს პასუხისმგებელი რედაქტორი პოდპოლკოვნიკი ამხ. ლავრუხინი. მოხსენების ირგვლივ აზრთა გაცვლა-გამოცვლაში მონაწილეობა მიიღეს სამგზის ორდენოსანმა ვწერალმა პ. პავლენკომ და სამხკორებმა ამხ. ვოზნენკომ, ტიხონოვმა, მანკომ და სხვ.

შემდეგ კრებაზე გამოქვეყნდა გაზეთ „ბოეც რკკა“-ს ვიერ საუკეთესო ნარკვევისა, ნოველისა და ლექსისათვის გამოცხადებული კონკურსის შედეგები.

კრების დასასრულ გაიმართა კონცერტი.

საბჭოთა ახალგაზრდობის სრულიად-საკავშირო მიგვინგი

2 მაისს მოსკოვში, კავშირთა სახლის სვეტებიან დარბაზში შესდგა საბჭოთა ახალგაზრდობის წარმომადგენელთა სრულიად-საკავშირო მიტინგი.

მიტინგზე გამოვიდნენ: უკრაინის წარმომადგენელი—პარტიზანი, ამხ. ევგენი, ექიმი ქალი ამხ. კოროვინა, რომელმაც 15 თვე დაჰყო გერმანელ დამპყრობთა მიერ ოკუპირებულ ქალაქ კურსკში, მწერალი ბორის გორბატოვი, სტალინგრადის მამაცი დამცველი — საბჭოთა კავშირის გმირი ვასილ ზაიცევი, საკ. ალკ კიროვის საოლქო კომიტეტის მდივანი ალექსი ვინოკუროვი, კრასნოიარსკის ქარხნის მდნობელი ალექსანდრა სტეპანოვა, ტრაქტორისტი ეკატერინე ივანოვა და სხვანი. მათ ყველამ განაცხადეს მიტინგის ტრიბუნიდან, რომ საბჭოთა ახალგაზრდობა მზად არის მოაზდინოს მთელი ძალების მობილიზაცია ამხანაგ სტალინის ისტორიული საპირველმაისო ბრძანების შესასრულებლად.

მიტინგზე მონაწილეებმა წერილი გაუგზავნეს უმაღლეს მთავარსარდალს, საბჭოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინს.

თავიანთ წერილში ისინი აცხადებენ, რომ საბჭოთა ახალგაზრდობამ ამხანაგ სტალინის საპირველმაისო ბრძანება ისე მიიღო, როგორც მოქმედების საბრძოლო სახელმძღვანელო, და მთელ თავის ძალ-ღონეს განუყოფლად მოახმარს გერმანელ ფაშისტ დამპყრობლებთან ბრძოლის საქმეს, გამარჯვების საქმეს (საკდესი).

ჩვენი ავიაციის თავდასხმები ბრესლის, გომელისა და ბრიანსკის რკინიგზის კვანძებზე და იაღჩისა და კონსტანცის ნავსადგურებზე

4 მაისს ღამით ჩვენი შორი მოქმედების ავიაცია მასირებულად დაესხა თავს ბრესლის, გომელისა და ბრიანსკის რკინიგზის კვანძებს და ამ ქალაქების სამხედრო საწყობებს. დაბომბვის შედეგად ბევრგან ხანძარი გაჩნდა და საომარ მასალათა საწყობებისა და რკინიგზის შემადგენლობათა ძლიერი აფეთქება მოხდა.

ჩვენმა საზღვაო ავიაციამ დაბომბა იალტისა და კონსტანცის ნავსადგურები და მოწინააღმდეგის იქ მდგომი გემები.

ჩვენი ავიაციის თავდასხმები დნეპროპეტროვსკის, კრემენჩუგის, ბრიანსკის სარკინიგზო კვანძებზე

5 მაისს ღამით ჩვენი შორი მოქმედების ავიაციის დიდმა შენაერთებმა წარმატებით დაბომბეს დნეპროპეტროვსკის, კრემენჩუგის, ბრიანსკის სარკინიგზო კვანძები, რომლებიც გაჭედილი იყო მოწინააღმდეგის საომარი მასალებითა და საჭურვლით დატვირთული მატარებლებით. თავდასხმის შედეგად ბევრგან გაჩნდა ხანძარი და მოხდა ძლიერი აფეთქებანი.

სტანიცა კრიმსკაიაში

(„კრასნაია ზვეზდის“ სპეციალური კორესპონდენტისაგან)

შორიდან ისმის არტილერიის გრიალი. ბორიზონტს ცეცხლის ალი აქვს მოდებული, გზატკეცილი გაჭედილია მანქანებით, ზარბაზნებით, ადამიანებით. ყველაფერი მიეშურება დასავლეთით, კრიმსკაიასაკენ.

დღეს ღამით ჩვენს ჯარებს იერიში მიაქეთ გერმანელთა თავდაცვის ძლიერ გამაგრებულ კვანძზე ყუბანის ქვედაწელში—სადგურ და რაიონულ ცენტრ კრიმსკაიაზე. ყველა ყალიბის ასობით ქვეითი კონცენტრირებულ ცეცხლს უშენს მტრის სიმაგრეებს, ხშირი ზალპებით ანგრევს მოწინააღმდეგის გადასასვლელებს, საარტილერიო პოზიციებს და საკომანდო პუნქტებს. ბნელი ბუჩქნარებით, არხებითა და ბატარა მდინარეთა კალაპოტებით მიიწევენ წინ ჯგუფ-ჯგუფად მეავტომატეები, რომლებიც კვალდაკვალ მისდევენ თავიანთი ყუმბარების ცეცხლს.

ჯერ კიდევ ღამეა, მაგრამ კრიმსკაიას რაიონში დღესავით ნათელია. გერმანელებმა ცეცხლი წაუკიდეს ყველა უფრო დიდ შენობას. გათენებისას ბრძოლამ უდიდეს დაძაბულობას მიაღწია. ჩვენმა მოწინავე ნაწილებმა ფეხი მოიკიდეს სადგურთან და საბჭოთა ფეიერვერკების შენობებთან კრიმსკაიას ჩრდილოეთ მხარეზე, იწყეს მოწინააღმდეგის შემოვლა სამხრეთიდან და ჩრდილოეთიდან. დილის 5 საათზე ერთი პოლკი შეიჭრა სტანიცის აღმოსავლეთ გარეუბანში.

გათენებისას ზედიზედ გაემართნენ ჩვენი მოიერიშეების, ბომბდამშენებისა და ავიაგამანადგურებლების ეშელონები. ისინი მაგრად ურტყამდნენ შემდრკალ მტერს. გერმანელთა ავიაცია შეეცადა ხელი შეეშალა ჩვენი თვითმფრინავების მოქმედებისათვის, მაგრამ ამაოდ. საბჭოთა ავიაგამანადგურებლები სწრაფად სწენდდნენ ბრძოლის რაიონს მტრის ავიაციისგან. ერთ შეტაკებას ჰაერში მეორე სცვლიდა.

სამი მხრიდან მომწყვდეული გერმანელები უკან იხევდნენ. მაგრამ უკანდახევისას გაშმაგებით გვიწევდნენ წინააღმდეგობას. გერმანელთა ქვეითი ჯარი კონტრიერიშებზე გადმოდიოდა. არტილერია და ნაღმსატყორცნები ცდილობდნენ დაეშინათ ჩვენი საბრძოლო წყობებისათვის. საბჭოთა ავიაცია და არტილერია ყოველთვის ბჯას უღობავდნენ კონტრიერიშზე გადმოსულ მტერს, აჩუმებდნენ მის არტილერიას. დღის პირველი საათისათვის მთელი სტანიცა გაწმენდილ იქნა გერმანელთა ჯარებისაგან. ბრძოლამ გადაინაცვლა უფრო შორს, დასავლეთისაკენ.

ახლა შესაძლებელი იყო თვალი გადაგვეყლო მრავალი დღის შეუპოვარი ბრძოლების ადგილისათვის. ჰილზები, მიმობნეული ყუმბარები, გროვა აირწინაღები. ბევრ ადგილას ჭყრია გერმანელთა გვამები. იქ, სადაც არტილერიისა და ნაღმსატყორცნების საცეცხლე პოზიციები იყო, დამსხვრეული გდია გერმანელთა ბატარიის 4 ქვემეხი. აქვე ყველაფერი გადათხრილია ავიაბომბებითა და ყუმბარებით. ჯერ კიდევ სველი მიწის ბელტებქვეშ სჩანს მტრის არტილერისტთა გვამები. ბაღის უკან ნანგრევებია ორსართულიანი ქვიტკირის სახლისა, რომლის ქვეშაც გერმანელებს დიდი ბლინდაჟი მოეწყოთ. ბლინდაჟში მიმობნეულია ქაღალდები, გაზეთები, ხის მაგიდაზე დგას საბეჭდი მანქანა. აქ, ალბათ, გერმანელთა ნაწილის შტაბი იყო. ბლინდაჟი ოთხ ადგილას შენგრეულია ჩვენი მძიმე არტილერიის ყუმბარებით.

როცა თვით სტანიცაში მიდიხარ, ხედავ ნახშირსა და ფერფლს, რბევა-აწიოკების კვალს. გერმანელთა ოკუპაციამდე აქ 25.000-მდე მცხოვრები ითვლებოდა. ახლა იშვიათ უბანში შეხვდები ადამიანს, სტანიცა თითქოს ამომწყდარაო.

საბჭოთა მეომრები შურს იძიებენ მტერზე. ისინი შორს გასცდნენ სტანიცას და ახლა იერიშით მიაქვთ მტრის ახალ სიმაგრეებზე. განუწყვეტლივ გრიალებს არტილერია. ჰაერში თვითმფრინავების ერთი ეშელონი მეორესა სცვლის. ბრძოლა გრძელდება წინანდელი შეუპოვრობითა და გაჯიერებით.

მაიორი პ. ტროიანოვსკი

მოქმედი არმია.

(„კრასნაია ზვეზდა“, 6 მაისი).

ამხანაგ ი. ბ. სტალინის პასუხი ამერიკულ გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ და ინგლისურ გაზეთ „ტაიმსის“ კორესპონდენტის კითხვებზე

ამერიკულ გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ და ინგლისურ გაზეთ „ტაიმსის“ მოსკოველმა კორესპონდენტმა ბ-ნმა პარკერმა სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარეს ამხანაგ ი. ბ. სტალინს მიმართა წერილით, რომლითაც მან სთხოვა ეპასუხნა ორ კითხვაზე, რაც ამერიკისა და ინგლისის საზოგადოებრიობას აინტერესებს.

ამხანაგ ი. ბ. სტალინმა ბ-ნ პარკერს შემდეგი წერილით უპასუხა:

ბატონო პარკერ!

3 მაისს მივიღე თქვენი ორი კითხვა პოლონეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობის შესახებ.

გიგზავნით ჩემს პასუხს:

1. კითხვა: „სურს თუ არა სსრ კავშირის მთავრობას იხილოს ძლიერი და დამოუკიდებელი პოლონეთი ჰიტლერული გერმანიის დამარცხების შემდეგ“?

პასუხი. უსათუოდ, სურს.

2. კითხვა: „თქვენი თვალსაზრისით, რა საფუძვლებს უნდა ემყარებოდეს ურთიერთობა პოლონეთსა და სსრ კავშირს შორის ომის შემდეგ“?

პასუხი. მტკიცე კეთილმეზობლური ურთიერთობისა და ურთიერთპატივისცემის საფუძველს, ან, თუ ამას პოლონელი ხალხი ისურვებს,— გერმანელების, როგორც საბჭოთა კავშირისა და პოლონეთის მთავარი მტრების, წინააღმდეგ ურთიერთდახმარების კავშირის საფუძველს.

პატივისცემით **ი. სტალინი**



კარლ მარქსი

დაბადების 125 წლისთავის გამო

5 მაისს 125 წელი შესრულდა მას აქეთ, რაც დაიბადა მეცნიერული კომუნიზმის ფუძემდებელი, მშრომელთა დიდი ბელადი და მასწავლებელი, მოწინავე მეცნიერების კორიფეი—კარლ მარქსი.

მარქსის სახელი ფართოდ არის ცნობილი ჩვენს ქვეყანაში და მთელ მსოფლიოში. სსრ კავშირის ხალხთა მასებს უყვართ მარქსი და სწავლობენ მას, რადგან იციან, რომ მან თითქმის 100 წლის წინათ პირველმა უჩვენა მშრომელთ განთავისუფლების გზა, ის გზა, რომლითაც ბოლშევიკების დიადმა პარტიამ, ლენინ-სტალინის პარტიამ მიიყვანა ჩვენი ხალხი საბჭოთა რევოლუციის გამარჯვებამდე, ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენებამდე.

მარქსის დაბადების 125 წლისთავს ჩვენ ისეთ ვითარებაში აღვნიშნავთ, როცა საბჭოთა ხალხი წმიდათა-წმიდა გამანთავისუფლებელ ომს ეწევა ჩვენს სამშობლოს უბოროტესი მტრის—ჰიტლერული იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც ცდილობს ლიკვიდაცია უყოს ჩვენი სამშობლოს მშრომელთა ყველა მონაპოვარს, წაართვას საბჭოთა ადამიანებს თავისუფლება და დამოუკიდებლობა, ისეთ ვითარებაში, როცა მსოფლიოს თავისუფლებისმოყვარე ხალხები დიად, სამართლიან ომს ეწევიან ჰიტლერული გერმანიის წინააღმდეგ, რომელსაც მონობა და დაღუპვა მოაქვს ყველა ხალხისათვის, ემუქრება კაცობრობის კულტურის ყველა მონაპოვარს.

მარქსისტული თეორია დიად იარაღს წარმოადგენს საზოგადოებრივ ბრძოლაში. მარქსისტულ-ლენინური თეორია საზოგადოების განვითარების კანონების გაგებით გვიჩვენებს, მარქსის მოძღვრება აღფრთოვანებს ხალხს ფაშიზმის უტიფარი რეაქციის წინააღმდეგ, ბარბაროსობის, ბნელეთის მოციქულობის, ჰიტლერელთა კანიბალიზმის წინააღმდეგ ბრძოლისათვის. მარქსისტულ-ლენინური თეორია გვიჩვენებს ომის მსვლელობის, ტენდენციებისა და კანონების გაგებით, იმის გაგებით, რომ გარდუვალია ჰიტლერული გერმანიის საბრძოლო და პოლიტიკური კრახი. იგი გვასწავლის ისტორიული ამბების მთელ სირთულეში გარკვევას, გვინერგავს გამარჯვების რწმენას.

* * *

მარქსი მსოფლიო ისტორიის გამოჩენილ მოღვაწეთა რიცხვს ეკუთვნის. მისი მეცნიერული აღმოჩენები უკვდავია. ჯერ კიდევ მარქსისა და მისი უდიდესი მეგობრისა და თანამებრძოლის ენგელსის სიცოცხლის დროს გადაიქცა მარქსის სახელი მილიონობით ადამიანთა დროშად, მონობისა და ჩაგვრის მოსპობის სიმბოლოდ, დედამიწაზე ადამიანთა მომავალი ბედნიერი ცხოვრების შექმნის სიმბოლოდ.

მარქსის მოძღვრება,—მრავალჯერ აღუნიშნავს ლენინს ხაზგასმით,—მსოფლიო მეცნიერების განვითარებისაგან განცალკევებით კი არ წარმოიშვა, არამედ მარქსის წინა პერიოდის ყველაზე მოწინავე იდეების გაგრძელებას წარმოადგენს. მარქსის მოძღვრებაში კრიტიკულად გადახალისებულ იქნა ფილოსოფიური მეცნიერების, პოლიტიკური ეკონომიის, სოციალისტური თეორიების უძვირფასესი მოღწევები.

მარქსმა შეჭქმნა ახალი, დიადი, გრანდიოზული მსოფლმხედველობა, **დიალექტიკური მატერიალიზმის მსოფლმხედველობა,** რომელმაც შეიწოვა ფილოსოფიური კულტურის ყველა მოღწევა—მატერიალიზმი და დიალექტიკა—და შორს გაუსწრო თავის წინამორბედებს, ბევრად უფრო მაღლა დადგა მარქსის წინაპოქის საუკეთესო მოაზროვნეთა საუკეთესო ქმნილებებზე.

მარქსი ისტორიის მატერიალისტური გაგების შემოქმედი გახდა. მარქსამდე ისტორიულ პროცესზე შეხედულებებში ქაოსური, დამახინჯებული და საკმაოდ აბნეული წარმოდგენა არსებობდა. მარქსის მოძღვრებამ არა მარტო გამოაჩინა ისტორიული პროცესის ფესვები, არა მარტო გამოაკვლია მისი მატერიალური საფუძველი, არა მარტო გააშუქა საზოგადოებრივ კანონზომიერებათა ხასიათი, არამედ აგრეთვე პირველად შეჭქმნა იმის შესაძლებლობა, რომ ბუნებრივ-ისტორიული სიზუსტით გარკვეულიყო ადამიანთა ცხოვრების საზოგადოებრივი პირობები, აგრეთვე ამ პირობების შეცვლის მიზეზები.

მარქსის საფლავზე წარმოთქმულ სიტყვაში, დაახასიათა რა ეს აღმოჩენა, ენგელსმა სთქვა:

„იმის მსგავსად, როგორც დარვინმა აღმოაჩინა ორგანული სამყაროს განვითარების კანონი, ისევე მარქსმა აღმოაჩინა კაცობრიობის ისტორიის განვითარების კანონი“.

მარქსის მიერ ისტორიის მატერიალისტური გაგების აღმოჩენამ პირველად დაუყენა ისტორიული გამოკვლევა მტკიცე მეცნიერულ საფუძველზე. მან შეჭქმნა მთლიანი, თანმიმდევრული და მწყობრი მეცნიერული თეორია, რომელიც გვიჩვენებს, თუ რა კანონზომიერებათა ძალით ვითარდება ადამიანთა საზოგადოებრივი ცხოვრება, გვიხსნის, თუ როგორ წარმოიშვება საზოგადოების საწარმოო ძალთა ზრდის შედეგად საზოგადოებრივი ცხოვრების ერთი წყობიდან საზოგადოებრივი ცხოვრების სხვა წყობა, რომელიც პირველს

ᲓᲔᲙᲐᲛᲔᲒᲘ

ᲡᲐᲑ᭭ᲭᲝᲗᲐ ᲡᲐᲘᲜᲤᲝᲠᲛᲐᲪᲘᲝ ᲑᲘᲣᲠᲝᲡᲐᲒᲐᲜ

5 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲓᲘᲚᲘᲡ ᲪᲜᲝᲑᲐ

4 მაისს ღამის განმავლობაში გრძელდებოდა ბრძოლები ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით. სხვა ფრონტებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

• • •

ყუბანში 5 შენაერთის ნაწილები გაფთრებულ ბრძოლებს ეწეოდნენ მოწინააღმდეგესთან. საბჭოთა არტილერისტები მძლავრი ცეცხლითი თავდასხმებით ეხმარებოდნენ მსროლელი ნაწილების მოქმედებას. მარტო ერთ უბანზე არტილერიის ცეცხლით მოსპობილია გერმანელთა 4 ტანკი, 21 ქვემეხი, 5 სანადმტყორცნო ბატარია და გერმანელთა ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

შორი მოქმედების ჩვენი ავიაცია მოწინააღმდეგის აეროდრომებს ბომბავდა. დაბომბვის შედეგად მრავალი ხანძარი და მძლავრი აფეთქება მოხდა.

• • •

დასავლეთის ფრონტზე ჩვენმა ნაწილებმა მოსპეს 150-მდე გერმანელი, დაამტვრიეს მოწინააღმდეგის 2 ქვემეხი, ჩაახშეს ერთი სანადმტყორცნო და 4 საარტილერიო ბატარიის ცეცხლი.

• • •

დონის როსტოვის დასავლეთით ჩვენი არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით მოსპობილია ერთი საარტილერიო და ერთი სანაღმტყორცნო ბატარია, 10 ავტომანქანა, აფეთქებულია 2 საწყობი საომარი მასალა, გაფანტული და ნაწილობრივ მოსპობილია ჰიტლერელთა ორ ასეულამდე ჯარი. ქვემეხის გუნდმა სერჟანტ ლარინის მეთაურობით პირდაპირი მოხვედრებით დაამტვრია მტრის 2 საარტილერო და მოსპო 60-მდე გერმანელი ჯარისკაცი.

• • •

ვოლხოვის ფრონტზე ჩვენი არტილერისტები მტრის პოზიციებს უშინდნენ და დაანგრიეს გერმანელთა 17 ძელმიწური, სათვალთვალო პუნქტი, მოსპეს 7 ქვემეხი, 2 სანადმტყორცნო ბატარია და აააფეთქეს საომარი მასალის საწყობი. სხვა უბანზე მოწინააღმდეგემ იერიში მოიტანა ორი ჯგუფით, რომლებშიც სულ 150-მდე ჯარისკაცი შედიოდა. ჰიტლერელები გაფანტულ იქნენ ნაღმსატყორცნებისა და თოფ-ტყვიამფრქვევის ცეცხლით. ბრძოლის ველზე დარჩა მტრის 70-მდე გვამი.

• • •

გომელის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმების ჯგუფმა 16-დან 25 აპრილამდე განვლილი დროის მანძილზე რამდენჯერმე დაარტყა რკინიგზის ტრანსპორტს მოწინააღმდეგის ზურგში. ვოროშილოვის სახელობის რაზმის პარტიზანებმა გერმანელთა 3 ეშელონი ააფეთქეს. ჩაპაევის სახელობის რაზმის ამფეთქებლებმა ლიანდაგიდან გადააგდეს მოწინააღმდეგის ორი მატარებელი. რაზმ „ბოლშევიკის“ პარტიზანებმა ნაღმებზე აააფეთქეს მტრის ეშელონი. დამტვრეულია 6 ორთქლმავალი და ბევრი ვაგონი მოწინააღმდეგის ჯარებიანად და ტექნიკიანად. პარტიზანების მოქმედების შედეგად შეწყვეტილ იქნა სარკინიგზო მიმოსვლა დიდ უბანზე.

• • •

იუგოსლავიელი პატრიოტები გაფთრებულ ბრძოლებს ეწევიან იტალიელ-გერმანელი ოკუპანტების წინააღმდეგ. ზაგრების რაიონში მოქმედმა პარტიზანებმა რკინიგზის ერთი სადგური დაიკავეს და ხელთ იგდეს დიდი დაკლა. ამას წინათ პატრიოტები თავს დაესხნენ საკონცენტრაციო ბანაკ ბელიაკს, სადაც ინყოფებოდნენ ფრანგი მუშები, რომლებიც გერმანელებს ძალით ჰყავდათ წამოყვანილი საფრანგეთიდან იძულებითს სამუშაოზე. პარტიზანებმა გერმანელი მცველები გაჰფანტეს და პატიმრები გაათავისუფლეს. განთავისუფლებულ ფრანგთაგან ბევრნი პარტიზანებს შეუერთდნენ და იარაღით ხელში იბრძვიან იტალიელ-გერმანელ დამპყრობთა წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირ-გერმანიის ფრონტზე იტალიელთა საექსპედიციო კორპუსის განადგურების შემდეგ გაძლიერდა დეზერტირობა იტალიელთა გარნიზონებიდან. უკანასკნელ ხანს იყო შემთხვევები, რომ იტალიელი ჯარისკაცები თითო-თითოდ, აგრეთვე ჯგუფ-ჯგუფად გადავიდნენ იუგოსლავიელ პარტიზანთა მხარეზე. პარტიზანებს ნებაყოფლობით დანებდა ტყვედ კორეკვრეში განლაგებული იტალიელთა გარნიზონის ჯარისკაცთა ჯგუფი. მათ თან მიიტანეს მთელი საჭურველი და საომარი მასალა. პარტიზანთა მხარეზე გადავიდნენ აგრეთვე სხვა გარნიზონების ჯარისკაცთა ჯგუფები. მოსტარსა და ლიუბლიანში იტალიელმა სამხედრო ხელისუფლებამ 25 ჯარისკაცი სიკვდილით დასაჯეს იუგოსლავიელ პატრიოტთა მხარეზე გადასვლის ცდისათვის.

5 ᲛᲐᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲚᲐᲛᲝ ᲪᲜᲝᲑᲐ

ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ჩვენმა ჯარებმა გაფთრებული ბრძოლების შედეგად გაარღვიეს მოწინააღმდეგის თავდაცვა 25 კილომეტრ სიგრძის ფრონტზე და დაიკავეს რკინიგზის კვანძი **კრიმსკაია,** რომელიც გერმანელებს წინააღმდეგობის უმნიშვნელოვანეს ძლიერ გამაგრებულ კვანძად ჰქონდათ გადაქცეული. ჩვენმა ჯარებმა 13 კილომეტრით წაიწიეს წინ და დაიკავეს აგრეთვე დასახლებული პუნქტები **კრასნი, ჩერნომორსკი, ზაპოროჟსკი, ვეს�ილი, სადოვოი, ბლაგოდარნი, მელეხოვსკი, ნიჟნე-გრეჩესკი, ვერხნი ადაგუმი** და ნებერჯაევსკაია.

წამოღებულია 80 ქვემეხი, 220 ტყვიამფრქვევი და სხვა დაკლა.

მოწინააღმდეგემ 7.000-ზე მეტი მოკლული ჯარისკაცი და ოფიცერი დასტოვა ბრძოლის ველზე.

ფრონტის სხვა უბნებზე არსებითი ცვლილება არ მომხდარა.

• • •

4 მაისს ჩვენი ავიაციის ნაწილებმა ფრონტის სხვადასხვა უბანზე მოსპეს ან დაზიანეს გერმანელთა სულ ცოტა 5 ტანკი, 30-მდე ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, აააფეთქეს 3 საწყობი საომარი მასალა, ჩაახშეს 7 საარტილერიო და 1 სანადმტყორცნო ბატარიის ცეცხლი, ჩასხირეს გერმანელთა ტრანსპორტი, გაჰფანტეს და ნაწილობრივ მოსპეს მოწინააღმდეგის ერთ ბატალიონამდე ქვეითი ჯარი.

• • •

ყუბანში, ნოვოროსიისკის ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, 6 შენაერთის ნაწილები გაფთრებულ ბრძოლებს განაგრძობდნენ. საბჭოთა არტილერისტები ქვეითი ჯარის იერიშებს ეხმარებოდნენ და ერთ უბანზე მოსპეს გერმანელთა 2 ტანკი და 27 ავტომანქანა ჯარებიანად და ტვირთიანად, დაანგრიეს მოწინააღმდეგის რამდენიმე ათეული ძელმიწური და ბლინდაჟი. ჩვენი მფრინავები მტრის ჯარებს ბომბავდნენ და იერიში მიჰქონდათ მათზე. უფროსმა ლეიტენანტმა ამხ. შველევმა დღის განმავლობაში გერმანელთა 4 ავიაგამანადგურებელი ჩამოაგდო საჰაერო ბრძოლებში, პილოტმა ამხ. კომელკოვმა და უფროსმა სერჟანტმა ამხ. ლიხოვიდოვმა გერმანელთა ორ-ორი თვითმფრინავი ჩამოაგდეს.

• • •

დასავლეთის ფრონტზე ჩვენს ნაწილებს წინანდელი პოზიციები ეჭირათ და დაზვერვას ეწეოდნენ. ერთ უბანზე ფერმანელთა რაზმმა, რომელიც 150-მდე კაცისაგან შესდგებოდა, სცადა ბრძოლით დაეზვერა ჩვენი თავდაცვის სისტემა. საბჭოთა მებრძოლები ზალპებით შეხვდნენ მოწინააღმდეგეს. ჰიტლერელებმა სასწრაფოდ დაიხიეს უკან, ამასთან 60-მდე გვამი დასტოვეს ჩვენი პოზიციების წინ. სხვა უბანზე 5 ნაწილის მზვერავებმა მოწინააღმდეგის ზურგში შეაღწიეს, ააფეთქეს 2 ძელმიწური, გაელტეს მტრის 37 ჯარისკაცი, ხელთ იგდეს ტყვეები და თავიანთ ნაწილში დაბრუნდნენ.

• • •

ბალაკლეის სამხრეთით არტილერიისა და ნაღმსატყორცნების ცეცხლით დანგრეულია გერმანელთა 2 ძელმიწური და 4 ბლინდაჟი, მოსპობილია 3 დიდი ყალიბის ტყვიამფრქვევი და გაელეტილია ჰიტლერელთა ერთ ასეულამდე ჯარი.

ჩვენი მფრინავები თავს დაესხნენ რკინიგზის სადგურებს მოწინააღმდეგის ზურგში. შემჩნეულია მრავალი აფეთქება და ხანძარი.

ᲓᲔᲙᲐᲛᲔᲒᲘ

ᲩᲔᲠᲩᲘᲚᲘᲡ ᲞᲐᲡᲣᲮᲘ ᲥᲘᲛᲘᲣᲠᲘ ᲝᲛᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲛᲘᲪᲔᲛᲣᲚ ᲨᲔᲙᲘᲗᲮᲕᲐᲖᲔ

ლონდონი, 4 მაისი (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, დღეს ინგლისის თვითა პალატაში ინგლისის პრემიერ-მინისტრ ჩერჩილს შემდეგი შეკითხვა მისცეს: განზრახული აქვს თუ არა მთავრობას, სანამ ქიმიურ ომს დაიწყებდეს, ზომები მიიღოს, რათა უეჭველად დარწმუნდეს, რომ გერმანელებმა ნამდვილად გამოიყენეს მომწამლავი ნივთიერებანი და მიმართავს თუ არა ინგლისი ნეიტრალურ კომისიას თხოვნით—გამოირკვიოს, რუსების წინააღმდეგ მომწამლავ ნივთიერებათა გამოყენების ფაქტი.

ჩერჩილმა უპასუხა: „რეპრესიული ზომები მანამდე არ იქნება მიღებული, სანამ მთავრობა არ დარწმუნდება, რომ მოწინააღმდეგე იყენებს მომწამლავ ნივთიერებებს. ჩვენ განზრახული არა გვაქვს მოვიწვიოთ ნეიტრალები ამ საქმეში დახმარებისათვის“.

იმ მითითებაზე, რომ, შესაძლოა, საჭირო გახდეს სიფრთხილის ზომები, რამდენადაც წარსული ომის დროს დაშვებულ იქნა შეცდომები, ჩერჩილმა უპასუხა, რომ მან ეს იცის, მაგრამ, სთქვა მან, „მე სავსებით დარწმუნებული ვარ, რომ სწორ ინფორმაციას მივიღებთ ჩვენი რუსი მოკავშირეებისაგან“.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡᲔᲚᲘ ᲟᲣᲠᲜᲐᲚᲘᲡᲢᲘ ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ-ᲡᲐᲑ᭭ᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲣᲠᲗᲘᲔᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 2 მაისი (საკადესი). გაზეთ „კრისჩენ საიენს მონიტორის“ კორესპონდენტი სტივენსონ, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ დაგრუნდა ახლო აღმოსავლეთიდან, აცხადებს, რომ საბჭოთა კავშირ-პოლონეთის ურთიერთობის შეწყვეტა პროვოცირებული იყო პოლონელი რეაქციული წრეების მიერ, რომელნიც მუდამ უფრო ანტისაბჭოურად იყვნენ განწყობილნი, ვიდრე ანტინაცისტურად. იგივე ადამიანები, რომელთაც წარსულში გაუქმეს დემოკრატიული ინსტიტუტები პოლონეთში, განდევნეს დემოკრატიული ლიდერები, დაამყარეს სამხედრო დიქტატურა,—ეს ადამიანები, რომელნიც ახლა დისკრედიტირებული არიან, ცდილობენ გამოხახონ გზები იმისათვის, რომ ხელისუფლებას დაუბრუნდნენ. სტივენსის სიტყვით, ერთი პოლონელი ოფიცერი, რომელიც საბჭოთა კავშირიდან კაიროში დაბრუნდა გასული წლის გაზაფხულზე, ამტკიცებდა, წითელ არმიას სრული კრახი მოელის და გერმანელები კავკასიას ხელში ჩაიგდებენო. სტივენსი აღნიშნავს, რომ ამ პოლონელ ოფიცერს საამოდ დიდი თანამდებობა უჭირავს იმისათვის, რომ მისმა სიტყვებმა შთაბეჭდილება მოახდინოს ბევრ მთავრობაზე. კაიროში და თეირანში მყოფი პოლონეთის არმიისა და პოლონეთის მთავრობის წარმომადგენელნი აშკარად წინასწარმეტყველებდნენ წითელი არმიის დამარცხებას, და, როგორც სჩანს, სურდათ კიდევაც ეს. სტივენსი ამტკიცებს, რომ ბევრი პოლონელი აქტიურ ანტისაბჭოთა და ანტისემიტურ პროპაგანდას ეწეოდა. ერთი დიდი თანამდებობის პოლონელი ოფიცერი იკვეხნიდა, რომ იგი ძირგამომთხრელ მუშაობას ეწეოდა საბჭოთა საკონცენტრაციო ბანაკში, პეჩორის მახლობლად. იგი აცხადებდა, რომ მან მიიღო სამუშაო, რომელიც საშუალებას აძლევდა მიმოსვლის საკმაო თავისუფლებით ესარგებლნა, და მოქმედებდა როგორც დიდი შეთქმულების მონაწილეთა დამაკავშირებელი რგოლი, ეს შეთქმულება მოწყობილი იყო იმ მიზნით, რომ განეიარაღებინათ ბანაკის მცველები, ხელში ჩაეგდოთ იარაღი და რადიოთი მიემართნათ გერმანელებისათვის მოწოდებით, რომ დახმარებოდნენ თვითმფრინავებითა და საპარაშუტო ჯარებით.

პოლონელ სამოქალაქო ლტოლვილთათვის თეირანში არსებული ბანაკის კომენდანტმა, ყოფილმა ოფიცერმა, განაცხადა, „ამჟამად საბჭოთა კავშირი მთლიანად საკონცენტრაციო ბანაკს წარმოადგენს, რომელსაც ებრაელები განაგებენო. სხვა პოლონელი სამოქალაქო ლტოლვილები, რომელნიც რეაქციულ ხროვას არ ეკუთვნოდნენ, გადმოგვცემდნენ, რომ სსრ კავშირში ისეთსავე პირობებში იმყოფებოდნენ, როგორშიც საშუალო რუსი იმყოფებოდა ომის დროს. სტივენსი გადმოგვცემს, რომ საბჭოთა კავშირიდან ლტოლვილთა შორის შედარებით იშვიათად შეიძლება ნახოთ შიმშილით ღონემიხდილი ადამიანები.

შემდეგ კორესპონდენტი აღნიშნავს, **რომ** ერთმა გამოჩენილმა ინგლისელმა მეკავშირე ოფიცერმა, რომელიც სიმპატიით ეკიდება პოლონელებს, აღიარა, რომ საბჭოთა კავშირიდან პოლონეთის წითელი ჯვრის დელეგატების გაძევება სრულიად გამართლებულია, ვინაიდან რუსებს მოეპოვებათ სავსებით ზუსტი ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ წითელი ჯვრის 2 წარმომადგენელი საიდუმლო სამხედრო ცნობებს აგროვებდა სსრ კავშირში. **(საკადესის შენიშვნა:** სინამდვილეში საბჭოთა კავშირიდან თავის დროზე გაძევებულ იქნენ არა რომელიღაც „დელეგატები პოლონეთის წითელი ჯვრისა“, არამედ პოლონეთის საელჩოს ზოგიერთი თანამშრომელნი, რომელნიც მხილებულ იქნენ მტრულ მოქმედებაში საბჭოთა კავშირის მიმართ). პოლონელ როგორც სამოქალაქო. ისე სამხედრო პირთა უდიდესი უმრავლესობა აღფოთებულია პოლონეთის ოფიციალური პირების ანტისაბჭოთა მოქმედებით და განზრახვა არა აქვს ნება მისცეს დაუბრუნდნენ ხელისუფლებას გამყიდველი ბიუროკრატები და მილიტარისტები, რომელნიც პასუხისმგებელნი არიან პოლონეთის წარსული უბედურებისათვის. შემდეგ სტივენსი აღნიშნავს, რომ უკრაინელი და ბელორუსი გლეხები, რომელნიც პოლონეთის ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, პოლონეთის ხელისუფლების დროს კვლავ მონების მდგომარეობაში იყვნენ, იმის მსგავსად, როგორც ეს მეფის დროს იყო. მათ განსაზღვრელ ექსპლოატაციას უწევდნენ მემამულეები, და მათ სურსათი არა ჰყოფნიდათ იმისათვის, რომ ზამთრის განმავლობაში გამოეკვებათ თავიანთი თავი და თავიანთი ოჯახი.

ბევრ ქალაქში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობას ებრაელები შეადგენდნენ, კვლავ ანტისემიტიზმი მეფობდა, ისევე როგორც ცარიზმის დროს. ამიტომ, როცა 1939 წელს წითელი არმია აღმოსავლეთ პოლონეთში შეიჭრა, არაპოლონელი მოსახლეობის უმრავლესობა, მათ შორის გლეხობა, წითელ არმიას მიესალმა როგორც თავის განმათავისუფლებელს. პოლონეთის საგარეო პოლიტიკა 1934 წლიდან 1939 წლამდე ბეკის მთავრობის დროს მჭიდროდ იყო დაკავშირებული გერმანიის საგარეო პოლიტიკასთან. როცა გერმანიამ მემელი დაიკავა, პოლონელებს უნდოდათ ლიტვაში შეჭრილიყვნენ, მაგრამ საბჭოთა კავშირმა ნება არ მისცა. როცა გერმანიამ ჩეხოსლოვაკია დაანაწილა, პოლონელებმა ტეშინის ოლქი დაიკავეს. მაგრამ, როცა ჰიტლერმა გამომაქლევნა თავისი გეგმები პოლონეთის ტერიტორიის მიმართ, ბეკმა თავისი პოლიტიკა შესცვალა და დახმარებისათვის მიმართა საფრანგეთსა და ინგლისს. მიუხედავად ამისა, პოლონეთის მთავრობამ მაშინაც კი ხელი შეუშალა მოკავშირეებს შეეჩერებინა გერმანია. ის გარემოება, რომ პოლონეთმა გადაჭრით უარჰყო საბჭოთა კავშირის სამხედრო დახმარება გერმანიის თავდასხმის შემთხვევაში, ერთ-ერთი მრავალ მიზეზთაგანია ინგლის-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების **ჩაშლისა.**

ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ ᲯᲕᲠᲘᲡᲨᲘ

ლონდონი, 5 მაისი (საკადესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბი იუწყება, რომ ინგლისის პირველი არმიის ფრონტზე ფრანგთა ჯარები წარმატებით გაგრძელებენ წინსვლას, მიუხედავად იმისა, რომ მტრის წინააღმდეგობა სულ უფრო და უფრო ძლიერდება. ჩრდილოეთში, მეჯეზ-ელბაბის აღმოსავლეთით მდებარე რაიონში, მოგერიებულია მტრის ძლიერი კონტრიერიში; მტერმა მეტად დიდი ზარალი ნახა. ფრონტის ჩრდილოეთ უბანზე ამერიკის მეორე კორპუსი, ფრანგთა იმ ჯარებთან თანამოქმედებით, რომლებიც ამერიკის ჯარების მარცხენა ფლანგზე ეწევიან ოპერაციებს, წინსვლას გაგრძელებდა. მოგერიებულ იქნა მოწინააღმდეგის კონტრიერიში. მერვე არმიის ფრონტზე აქტიურად მოქმედებდნენ ბატრულები.

ალიერის რადიო გადმოგვცემს, რომ მოკავშირეთა ჯარებმა გადასჭრეს დიდი მნიშვნელობის მქონე გზა პონ-დიუ-ფასსა და ენფიდავილს შუა. 4 მაისს შუადღისას მოკავშირეთა ჯარები 16 კილომეტრზე (პირდაპირი ხაზით) იმყოფებოდნენ ბიზერტიდან.

ლონდონი, 6 მაისი (საკადესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, ინგლისის მერვე არმიის ფრონტზე ინგლისელთა ბატრულებმა შეაღწიეს შორს—მტრის პოზიციების სიღრმეში.

ინგლისის პირველი არმიის მოქმედების რაიონში დაკავებულ იქნა მაღალი ჯებელ-ბუაუკაზი. ჩრდილოეთით მოწინააღმდეგემ რამდენიმე უშედეგო კონტრიერიში მოიტანა ამერიკელთა მეორე კორპუსის წინააღმდეგ. გაფთრებული ბრძოლების შემდეგ მოკავშირეთა ჯარებმა ხელთ იგდეს დიდი მნიშვნელობის მქონე მაღლობის ნაწილი. ბრძოლებში წამოყენილია კიდევ 300 ტყვე.

ავიაცია განაგრძობდა მსირებულ თავდასხმებს მოწინააღმდეგის სავაჭრო გემებსა, ნავსადგურებსა და აეროდრომებზე.

ჩაძირულია ორი გემი და რეგისტრირებულია, რომ ბომბები პირდაპირ მოხვდა შვედ გემს. საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია მტრის 11 თვითმფრინავი.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, ამერიკელთა ჯარები, რომლებმაც წინ წაიწიეს მატერის აღმოსავლეთით, ახლა სულ 9 კილომეტრზე იმყოფებიან ტებუტრბიდან. ამრიგად, მიუახლოვდნენ **რა** გერმანელთა პოზიციების ჩრდილოეთ კიდეს მთებში, მოკავშირეებს შეუძლიათ იმოქმედონ ღერძის სახელმწიფოთა ჯარების ღია მარჯვენა ფლანგის წინააღმდეგ.

იტალიელ-გერმანელთა ჯარის ნაწილები რომლებიც ბიზერტას იცავენ, მომწყვდეულნი არიან ვიწრო უბანზე. ბიზერტიდან 6 მილზე მდებარე დიდ აეროდრომ სიდი-ახმედს უკვე უშენენ ამერიკის შორსმსროლელი ქვემეხები.

ფრანგთა ჯარებმა გადასჭრეს პონ-დიუ-ფას—ენფიდავილის გზა. სხვა რაიონში მათ 7 კილომეტრით წაიწიეს წინ ძნელად გასავლელ ადგილას და ზღვასთან გავიდნენ.

ლონდონი, 6 მაისი (საკადესი). ინფორმაციის სამინისტროს ცნობით, მოკავშირეთა თვითმფრინავებმა, რომელთაც ბაზა ტუნისში აქვთ, 21 აპრილიდან 2 მაისამდე ჩასხიეს მტრის 14 ხომალდი და დააზიანეს 10 ხომალდი. 20 გემზე ხანძარი გაჩნდა. ჩრდილოეთ აფრიკის ბაზებიდან მოქმედმა ავიაციამ მარტო აპრილში ჩამოაგდო მოწინააღმდეგის 193 საჰაერანსპორტო თვითმფრინავი.

ᲛᲝᲙᲐᲕᲨᲘᲠᲗᲐ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲐ

ლონდონი, 5 მაისი (საკადესი). როგორც ოფიციალურად იუწყებიან, გუშინ ინგლისის ავიაციამ საფრანგეთის სანაპიროსთან დააზიანა მოწინააღმდეგის რამდენიმე პატარა გემი. სხვა შენაერთებმა დიუნკერკის მახლობლად წარმატებით მიიტანეს იერიში „სატვირთო მატარებლებსა, და კარჭაპებზე.

რეიტერის სააგენტოს ცნობით, ომის დასაწყისიდან ინგლისის სანაპირო დაცვის თვითმფრინავებმა, გემების 5.000-ზე მეტი ჭარაგნის დაკვეთა, 80 მილიონი მილი მიმოიფრინეს. ამავე ხნის განმავლობაში მათ იერიში მიიტანეს მოწინააღმდეგის 882 წყალქვეშა ნავზე, მოახდინეს 30.000-ზე მეტი გაფრენა და ჩაატარეს 1.600 საჰაერო ბრძოლა მტრის ავიაციასთან. უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში სანაპირო დაცვის თვითმფრინავები 1.000-ზე მეტჯერ დაესხნენ თავს მოწინააღმდეგის გემებს, რომელთაგან მოსპეს ან დააზიანეს 287 გემი.

დორტმუნდზე ინგლისის ავიაციის უკანასკნელი თავდასხმის დროს ქალაქს ყოველ წუთს აყრიდნენ ოთხ-ოთხ ბომბს, რომელთაგან თითოეული 1.800 კილოგრამს იწონიდა. ეს თავდასხმა ქალაქზე ინგლისის ბომბდამშენი ავიაციის ერთ-ერთი უდიდესი ოპერაცია იყო, ქალაქს დააყარეს 3.600-კილოგრამიანი ფუგასური ბომბები და ათიათასობით ცეცხლწამკიდი ბომბები.

ანტვერპენზე ამერიკის თვითმფრინავების უკანასკნელი თავდასხმის დროს სერიოზულად იქნა დაზიანებული ფორდის და კომპანია „ჯენერალ მოტორსის“ ყოფილი ქარხნები, რომლებიც ახლა სამხედრო სატვირთო მანქანებს ამზადებენ გერმანიის არმიისათვის.

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲐᲕᲘᲐᲪᲘᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲐ ᲦᲠᲛᲘᲗᲣᲜᲓᲖᲔ

ლონდონი, 5 მაისი (საკადესი). ოფიციალურად იუწყებიან, რომ 4 მაისს ღამით ინგლისის ბომბდამშენი ავიაციის თვითმფრინავებმა გააფთრებული თავდასხმა მოახდინეს დორტმუნდზე. დაბომბვა მეტად კონცენტრირებული იყო. 30 ბომბდამშენი თავის ბაზაში არ დაბრუნებულა.

დორტმუნდი გერმანიის ფოლადმსხმელი და ქვანახშირის მრეწველობის ცენტრია.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲑᲝᲛᲑᲓᲐᲛᲨᲔᲜᲔᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲐ ᲐᲜᲢᲕᲔᲠᲞᲔᲜᲖᲔ

ლონდონი, 5 მაისი (საკადესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, რომ 4 მაისს დღისით ამერიკის მძიმე ბომბდამშენებმა იერიში მიიტანეს ანტვერპენის (ბელგია) სამრეწველო ობიექტებზე. გამორკვეულია, რომ დაბომბვას კარგი შედეგები ჰქონდა.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲗᲕᲘᲗᲛᲤᲠᲘᲜᲐᲕᲘᲗᲑᲘᲡ ᲗᲐᲕᲓᲐᲡᲮᲛᲐ ᲠᲔᲯᲝ-ᲓᲘ-ᲙᲐᲚᲐᲑᲠᲘᲐᲡᲐ ᲓᲐ ᲒᲐᲠᲘᲐᲜᲝᲖᲔ

ლონდონი, 5 მაისი (საკადესი). რეიტერის სააგენტოს ცნობით, 4 მაისს ამერიკის თვითმფრინავ „ლიბერეიტორებმა“ დაბომბეს რეჯო-დი-კალაბრია და ტარანტო (იტალია).

ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘᲡ ᲛᲘᲜᲬᲝᲓᲝᲑᲔᲑᲘ ᲡᲐᲑ᭭ᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ლონდონი, 2 მაისი (საკადესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს ცნობებს, თუ რა რაოდენობის არასამხედრო ხასიათის მასალა გამოიგზავნა ინგლისიდან რუსეთში ინგლისის მთავრობის სავაჭრო ორგანიზაციის „შეერთებული სამეფოს სავაჭრო საზოგადოების“ მეშვეობით. არის ცნობები, რომ ამ მასალების ღირებულებამ უკვე გადააჭარბა 50 მილიონ გირვანქა სტერლინგს მოწოდებული სამხედრო მასალების დამატებით, რაც 170 მილიონი გირვანქა სტერლინგით განისაზღვრება.

გამოგზავნილ მასალებში შედის: ელექტრომოწყობილობა, ჩარხები, ალიუმინი, კობალტი, სპილენძი, ალა, ტყვია, ფეროქრომი, ფერომოლიბდენი, ფოსფორი, თუთია, სამრეწველო ალმასები, ირიდიუმი და სხვ.

სულ ამ საზოგადოების მეშვეობით სსრ კავშირში გამოგზავნილია ასიათასობით ტონა მასალები, მათ შორის 82 ათასი ტონა კაუჩუკი და 26 ათას ტონამდე ალა. ამ მასალების გამოგზავნა გრძელდება, მიუხედავად იმისა, რომ დაკარგულია ამ მასალების მწარმოებელი ძირითადი რაიონები—მალაია და ჰოლანდიის ინდოეთი. ამჟამად რუსეთში იგზავნება ათასობით ტონა კაუჩუკი ცეილონიდან, ხოლო ალის მიმწოდებელთა შორის არის ინგლისის უძველესი ალის სამადნიები.

რუსეთის საჭიროების დასაკმაყოფილებლად სავაჭრო საზოგადოება იყენებს უდიდესი რაოდენობის სხვადასხვა მასალას, რასაც მრავალი ქვეყნიდან იღებს.

ᲡᲐᲜᲘᲛᲣᲨᲝ ᲡᲘᲛᲐᲦᲚᲔᲖᲔ ᲓᲐᲕᲐᲧᲔᲜᲝᲗ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡᲘᲡ ᲡᲐᲜᲘᲢᲐᲠᲣᲚᲘ ᲛᲓᲒᲝᲛᲐᲠᲔᲝᲑᲐ

3 მაისს საღამოს თბილისის საბჭოს წითელ დარბაზში ამხ. ი. კოკლამაზაშვილის თავმჯდომარეობით შესდგა საუწყებათაშორისო თათბირი, რომელიც მოწვეული იყო თბილისის საბჭოს აღმასკომის მიერ. თათბირმა განიხილა ქალაქის სანიტარული მდგომარეობის საკითხი და დასახა ღონისძიებები თბილისის სანიტარული მდგომარეობის სანიმუშო წესრიგში მოსაყვანად.

5 მაისიდან თბილისში გამოცხადდა ქალაქის სანიტარული მდგომარეობის გაუმჯობესების ერთთვიური, რომელიც 5 ივნისამდე გასტანს. ერთთვიურის ჩატარების სახელმძღვანელოდ გამოყოფილია შტაბი (შტაბის თავმჯდომარე ამხ. ი. კოკლამაზაშვილი, თავმჯდომარის მოადგილე ამხ. გ. გოჩაშვილი). შტაბმა თავის პირველსავე სხდომაზე გადაწყვიტა დაუყოვნებლივ შეუდგეს ღონისძიებების მიღებას ქალაქის სანიტარული მდგომარეობის გასუფთავებისა და შესაძლებლობებს მტრის გასაწადგურებლად.

8. გაორკეცებული ენერგიით ფრონტისათვის მუშაობა მუშების, კოლმეურნეების, საბჭოთა ინტელიგენციის უპირველესი მოვალეობაა.

9. ყველა ჩვენმა ადამიანებმა და ჩვენმა დაწესებულებებმა ზურგში უნდა იმუშაონ შეუწყობილად და ზუსტად, კარგი საათის მექანიზმივით.

10. განვამტკიცოთ და განვავითაროთ ზამთრის ბრძოლების წარმატებანი, ვემზადოთ გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლებისათვის.

11. შურისგება და სიკვდილი გერმანელ არამზადებს საბჭოთა ადამიანების სისხლისა და ცრემლებისათვის.

ᲗᲔᲛᲔᲑᲘ ᲡᲐᲣᲑᲠᲔᲑᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲔᲑᲘᲡᲐ ᲣᲐᲮᲚᲝᲔᲡᲘ

ᲤᲠᲝᲜᲢᲘᲡᲗᲕᲘᲡ

1. უმაღლესი მთავარსარდლის ხუთოთა კავშირის მარშალ ამხანაგ სტალინის ბრძანება საბრძოლო პროგრამა წითელ არმიის და საბჭოთა სახალხო მეურეობის მტრის განადგურებისათვის ბრძოლაში.

2. სამამულო ომი გერმანელ ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ საბჭოთა კავშირის ყველა ხალხთა საერთო-სახალხო ომია.

3. 1942-1943 წლის ზამთრის კამპანიამ ცხადყო წითელი არმიის გაზრდილი შეტევითი ძალა.

4. ერთიანმა საერთო დარტყმამ აღმოსავლეთიდან და დასავლეთიდან ძირფესვიანად შეარყია ჰიტლერული სამხედრო მანქანა.

5. კრიზისი ფაშისტთა ბანაკში.

6. ჰიტლერული არმიის სრული განადგურება და ჰიტლერული გერმანიის უსიტყვო კაპიტულაცია არის გზა ევროპაში მშვიდობიანობის დამყარებისა.

7. საბჭოთა კავშირის ხალხებმა და წითელმა არმიამ მობილიზაცია უნდა უყონ მთელ ძალებსა და შესაძლებლობებს მტრის გასანადგურებლად.

8. გაორკეცებული ენერგიით ფრონტისათვის მუშაობა მუშების, კოლმეურნეების, საბჭოთა ინტელიგენციის უპირველესი მოვალეობაა.

9. ყველა ჩვენმა ადამიანებმა და ჩვენმა დაწესებულებებმა ზურგში უნდა იმუშაონ შეუწყობილად და ზუსტად, კარგი საათის მექანიზმივით.

10. განვამტკიცოთ და განვავითაროთ ზამთრის ბრძოლების წარმატებანი, ვემზადოთ გერმანელი ფაშისტი დამპყრობლების წინააღმდეგ გადამწყვეტი ბრძოლებისათვის.

11. შურისგება და სიკვდილი გერმანელ არამზადებს საბჭოთა ადამიანების სისხლისა და ცრემლებისათვის.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲛᲔᲪᲜᲘ